

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2021 წლის 23 ივნისის ბრძანება #№92/01-01 საფუძველზე ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 12 ივლისის №56/2021 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი #3

ქ.თბილისი

5 აგვისტო, აგვისტო, 2021
წელი

სხდომას კომისიის 3 წევრიდან ესწრებოდა სამივე:

- 1) კახაბერ თავზარაშვილი - საქართველოს უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი, პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
- 2) თამარ ჭელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
- 3) დავით კაკულია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამებისათვის ფარული კენჭისყრის ჩატარება.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გამოსავლენად ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატების გამოვლენა.
3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს

კომისიის თავმჯდომარის კ. თავზარაშვილის ინფორმაცია კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და კონკურსის შედეგების შესახებ.

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონიკის და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის კონკურსანტმა ცისანა გავაშელმა I ეტაპზე კომისიისაგან ყველა პუნქტში მიიღო მაღალი შეფასება, მოიპოვა პრეტენდენტის სტატუსი და გადავიდა მეორე ეტაპზე. კონკურსის გასაუბრების II ეტაპზე ნათლად ჩამოაყალიბა სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულებებით განვითარების პერსპექტივები, გამოავლინა სამეცნიერო საკითხების სიღრმისეული ხედვა. დასაბუთებული და ამომწურავი პასუხები გასცა კომისიის წევრების შეკითხვებს. პრედენდენტმა მეორე ეტაპზე კომისიის წევრებისაგან დაიმსახურა მაღალი შეფასება.
2. მოქმედი დებულების თანახმად საკონკურსო კომისიის მიერ ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3;

წინააღმდეგი - 0.

კენჭისყრის შედეგების მიხედვით კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა კონკურსანტი ცისანა გავაშელი.

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონიკის და ელექტრონული ინჟინერიის დეპარტამენტის ანტენების და ტალღების გავრცელების კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიამ ერთხმად მიანიჭა ცისანა გავაშელს გამარჯვებული კანდიდატის სტატუსი. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და დაადგინა, რომ შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარე:  /კახაბერ თავზარაშვილი/

კომისიის მდივანი:  /დავით გოგოლაძე/

კომისიის წევრები:  /თამარ ჭელიძე/